



## ეროვნული თავდაცვის აკადემია NATIONAL DEFENCE ACADEMY

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში  
სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესი

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესი (შემდგომში – შეფასების წესი) განსაზღვრავს აკადემიის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების (შემდგომში - შეფასება) წესს.

### **მუხლი 2. შეფასების მიზანი**

შეფასების ძირითადი მიზანია აკადემიაში განათლების ხარისხის მუდმივი სრულყოფის კულტურის ჩამოყალიბება, აკადემიის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება, რომელიც მიიღწევა აკადემიაში სწავლისა და სწავლების დონის ხარისხის შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვით და უზრუნველყოფით; შეფასების კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებით და მათ საფუძველზე სისტემატური მონიტორინგის ორგანიზებით, მათ შორის, ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით; აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასებით; ავტორიზაციის/ აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით.

### **მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა**

აკადემიის ხარისხის განვითარების სისტემა განიხილება როგორც პროცესებისა და შესაბამისი ორგანიზაციული ქვესტრუქტურების ერთობლიობა, რომლის ძირითადი ფუნქციაა როგორც მთლიანად საგანმანათლებლო, ასევე ცალკეული ქვესტრუქტურების ქმედითობის და მათი სასწავლო პროგრამების ხარისხის შეფასება, მონიტორინგი და სრულყოფა. სისტემური მიდგომა ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისადმი გულისხმობს ყველა პროცესის განხორციელებისას ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლის (დემინგის ციკლის) გამოყენებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია აკადემიური პერსონალი. სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების დონე პროფესორთა, მასწავლებელთა შემადგენლობის ხარისხით და მათი შრომის პირობებით

განსაზღვრება. UNESCO-ს რეკომენდაცია პედაგოგიური კადრების სტატუსის შესახებ შესაბამისად აკადემიაში შემუშავებულია და მოქმედებს აკადემიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი, დამკვიდრებულია ხარისხის მართვის კოლეგიალური ფორმები და უზრუნველყოფილია პედაგოგთა აკადემიური თავისუფლება, უზრუნველყოფილია შრომის შესატყვისი პირობები.

აკადემიაში ჩამოყალიბებულ ხარისხის მართვის სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იუნკერებს/მსმენელებს, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების ძირითად მომხმარებლებს. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უზრუნველყოფილია მათი მონაწილეობა სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების, განათლების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში, შემუშავებულია მათთან უკუკავშირის ფორმები.

იუნკერთა/მსმენელთა მხარდაჭერისა და დამრიგებლობის სიტემის არსებობა დიდად განსაზღვრავს სწავლების ხარისხს. აკადემიაში მოქმედებს იუნკერთა/მსმენელთა შეფასების, მათი რეიტინგის განსაზღვრის გამჭვირვალე და სამართლიანი წესები.

ხარისხის მუდმივი სრულყოფის კულტურის ჩამოყალიბების მიზნით აკადემიაში ინერგება აკადემიურ პერსონალს, სამხედრო ინსტრუქტორებს, იუნკერებს/მსმენელებს და ადმინისტრაციას შორის გამჭვირვალე და პარტნიორული ურთიერთობები. პრაქტიკაშია საგანმანათლებლო პროგრამების, სამხედრო ლიდერობის პროგრამების, ცალკეული ქვედანაყოფების ყოველწლიური საქმიანობის შედეგების საჯარო განხილვები.

#### **მუხლი 4. შეფასების პროცესი**

1. შეფასების პროცესი მოიცავს ეტაპებს:

ა) შესაფასებელი ობიექტის განსაზღვრა;

ბ) შესაფასებელი ობიექტის ადეკვატური შეფასების კრიტერიუმების და მეთოდების განსაზღვრა;

გ) შეფასების ჯგუფის შექმნა და მათთვის დასახული ამოცანების გაცნობა.

დ) შეფასების ობიექტურობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნითან და შეფასების სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება შეიქმნას მონიტორინგის/შეფასების ჯგუფი, რომელშიც შევლენ სათანადო კომპეტენციის მქონე აკადემიის თანამშრომლები ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირები.

ე) მონიტორინგის/შეფასების ჯგუფის წევრი ვერ იქნება შესაფასებელი სტრუქტურის თანამშრომელი, შესაფასებელი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან სასწავლოკურსების განმახორციელებელი ლექტორი;

ვ) საკუთრივ შეფასების/მონიტორინგის პროცესი.

ზ) მიღებული მონაცემების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება

თ) შეფასების შედეგების, დასკვნების და რეკომენდაციების წარდგენა აკადემიის რექტორისთვის/აკადემიური საბჭოსთვის და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის.

ი) შეფასების შედეგების, დასკვნების და რეკომენდაციების განხილვის შემდგომ გაუმჯობესების გზების დასახვა.

#### **მუხლი 5. ჩასატარებელი სამუშაო და პერიოდულობა**

1. ჩასატარებელი სამუშაო და პერიოდულობა ასახულია სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმებში, რომელთა განხორციელებას კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

2. აკადემიის მიზნებიდან და შეფასების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლებელია საჭირო გახდეს სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ღონისძიებებისა და ღონისძიების განხორციელების პერიოდის ცვლილება და/ან ახალი ღონისძიებების დამატება, რაც ხორციელდება აკადემიის რექტორთან და აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით